საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 3
09/01/2018

3-06-4-201801091037

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გერმანე ჭანუყვაძის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) უფროსის თანამდებობაზე მობილობის წესით გადაყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,კ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული თანდართული წესის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების კომისიის 2017 წლის 2 ოქტომბრის N2 სხდომის ოქმისა და გ. ჭანუყვაძის 2018 წლის 5 იანვრის განცხადების (თანხმობის) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გერმანე ჭანუყვაძე მობილობის წესით გადაყვანილი იქნეს, 2017 წელს გაუქმებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსის (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) თანამდებობიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) უფროსის თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1050 (ათასორმოცდაათი) ლარით.

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო